

აფაა-ს აქტუართა სერტიფიცირების სქემის ზოგადი პირობები

აპლიკაცია

აქტუარებისა და ფინანსურ ანალიტიკოსთა ასოციაციის (აფაა) აქტუართა სერტიფიცირების სქემის სერტიფიკატის მოპოვების მსურველმა უნდა შეავსოს შესაბამისი განცხადების ფორმა მასში მითითებულ ვადამდე. ელექტრონული ფორმის მოპოვება შეიძლება [აქ](#).

სერტიფიკატის სახეობები

აფაა-ს აქტუართა სერტიფიცირების სქემა გასცემს ორი კატეგორიის სერტიფიკატს, რომლებიც თავის მხრივ იყოფიან სპეციალიზაციების მიხედვით:

- სიცოცხლისა და საპენსიო დაზღვევის აქტუარის “ა” კატეგორიის სერტიფიკატი;
- ზოგადი დაზღვევის აქტუარის “ა” კატეგორიის სერტიფიკატი;
- სიცოცხლისა და საპენსიო დაზღვევის აქტუარის “ბ” კატეგორიის სერტიფიკატი;
- ზოგადი დაზღვევის აქტუარის “ბ” კატეგორიის სერტიფიკატი;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები „ბ“ კატეგორიის სერტიფიკატის მოსაპოვებლად

- აქტუარის “ბ” კატეგორიის სერტიფიკატის მოსაპოვებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
- უმაღლესი განათლება ტექნიკურ, ეკონომიკურ ან საბუნებისმეტყველო დარგებში;
- პროფესიული ქცევის კოდექსის დაცვა;
- სერტიფიკატის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- აქტუართა და ფინანსურ ანალიტიკოსთა ასოციაციის წევრობა;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები “ა” კატეგორიის სერტიფიკატისათვის

- სამეცნიერო ან საგანმანათლებლო სისტემაში აქტუარული, ან მასთან მონათესავე დისციპლინის დარგში ან საფინანსო სისტემაში მუშაობის 5-წლიანი სტაჟი;
- სერტიფიკატის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება;

თუ აქტუარის “ა” კატეგორიის სერტიფიკატის მაძიებელი პირი ფლობს აფაა-ს აქტუართა სერტიფიცირების სქემის მიერ გაცემულ სხვა სერტიფიკატს, მას მოეთხოვება მხოლოდ შესაბამისი სპეციალიზაციის “ა” კატეგორიის სერტიფიკატისათვის არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

თუ აქტუარის “ა” კატეგორიის სერტიფიკატის მაძიებელი არ ფლობს აფაა-ს აქტუართა სერტიფიცირების სქემის მიერ გაცემულ სხვა სერტიფიკატს, მაშინ მან ერთდროულად უნდა დააკმაყოფილოს შესაბამისი სპეციალიზაციის როგორც “ბ”, აგრეთვე “ა” კატეგორიის სერტიფიკატის მაძიებელთათვის არსებული ყველა მოთხოვნა.

აქტუარის სერტიფიკატი და მისი მოქმედების ვადა

აფაა-ს აქტუართა სერტიფიცირების სქემის მიერ აღიარების დამადასტურებელი საბუთია აქტუარის სახელობითი სერტიფიკატი.

აქტუარის “ბ” კატეგორიის სერტიფიკატების მოქმედების ვადა მითითებულია შესაბამის სერტიფიკატებზე. ვადის გასვლის შემდეგ სერტიფიკატი ითვლება ძალადაკარგულად. აქტუარის “ა” კატეგორიის სერტიფიკატს ვადა არ გააჩნია.

სერტიფიკატის გაცემით აფაა ცნობს, რომ ასოციაციის წევრი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს სერტიფიკატის ფლობის მთელი პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, თუ სერტიფიკატის მფლობელი რაიმე მიზეზების გამო ვეღარ შეძლებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ასოციაციას აქვს სერტიფიკატის გამოთხოვის უფლება.

აპელაცია

სერტიფიკატის გაცემაზე უარის მიღების შემთხვევაში, სერტიფიკატის მადიებელს აქვს აპელაციის შეტანის უფლება აფაა-ს საბჭოს სახელზე, უარის მიღებიდან 20 დღის განმავლობაში. საბჭო მოვლენა აპელაციის მიღებიდან 30 დღეში განიხილოს აპელაცია და მიიღოს გადაწყვეტილება სერტიფიკატის გაცემა-არგაცემის თაობაზე.

ცვლილებები სერტიფიცირების წესებში

აფაა პერიოდულად ატარებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების ანალიზს, რომლის შედეგადაც შესაძლებელია მათში ცვლილებების განხორციელება. ზემოთ აღნიშნულ და სერტიფიცირების წესებში სხვა ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, სერტიფიკატების მფლობელებს წინასწარ უნდა ეცნობოთ ამის შესახებ, რის შემდეგაც სერტიფიკატის მფლობელებს მოეთხოვებათ ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილება, წინააღმდეგ შემთხვევაში აფაა-ს აქვს სერტიფიკატის გამოთხოვის უფლება.

სერტიფიკატის ღირებულება

სერტიფიკატის მადიებელმა განცხადების შეტანისას უნდა გადაიხადოს ერთჯერადი თანხა 50 ლარი. სერტიფიკატის გაცემაზე უარის მიღების შემთხვევაში სერტიფიკატის მადიებელს უბრუნდება შენატანის 50%. თანხა შეტანილი უნდა იქნას აფაა-ს საბანკო ანგარიშზე.

აფაა-ს საბანკო რეკვიზიტებია:

ს.ს. “თიბისი ბანკის” ცენტრალური ფილიალი

საბანკო კოდი – **TBCBGE22**

მიმღების დასახელება – **“აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაცია”**

ანგარიშსწორების ანგარიში – **GE97TB060000001700871**